KA021747008764819

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/6102

01 / თებერვალი / 2019 წ.

შპს „ლასარე“-ს

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 11.01.2019წ. N5 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ-შემოსავლების სამსახურის 30.01.2019წ. N21-02/9937 წერილით წარმოდგენილი პოზიციის გათვალისწინებით, სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი, ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლებაში (ნაკვეთი 01/082) შპს „ლასარე“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.19.30.001.082) სსიპ-შემოსავლების სამსახურის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ N01.19.30.001.083) სასარგებლოდ სერვიტუტის უფლებით დატვირთულ 1888 კვ.მ მიწის ნაკვეთზე უსაფრთხოების თანამშრომლებისათვის განთავსდეს მსუბუქი კონსტრუქციის ჯიხური.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლებაში (ნაკვეთი 01/082) შპს „ლასარე“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.19.30.001.082) სსიპ-შემოსავლების სამსახურის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ N01.19.30.001.083) სასარგებლოდ სერვიტუტის უფლებით დატვირთულ 1888 კვ.მ მიწის ნაკვეთზე უსაფრთხოების თანამშრომლებისათვის მსუბუქი კონსტრუქციის ჯიხურის განთავსების შედეგად სახელმწიფოს არ უნდა წარმოეშვას რაიმე სახის ვალდებულება, არ უნდა მიადგეს რაიმე სახის ზიანი.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

LEPL "NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY" TBILISI SERVICE CENTER

შემოსავლების სამსახური

თბილისი 0114, გორგასლის ქ. 16
ტელ: +995 (32) 226 11 42, +995 (32) 226 11 16
ელ. ფოსტა: info@rs.ge
ვებ საიტი: www.rs.ge

9937-21-02-2-201901301002

N 21-02/9937

https://edoc.mof.ge/public/#/

30/01/2019

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
კერძო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს
ქალბატონ ლია ხუციშვილს

ქალბატონო ლია,

თქვენი, მიმდინარე წლის 17 იანვრის N5/2736 წერილის პასუხად, შპს „ლასარე“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი: 01.19.30.001.082) და სსიპ-შემოსავლების სამსახურის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (საკ.კოდი:01.19.30.001.083) სასარგებლოდ სერვიტუტის უფლებით დატვირთულ 1888 კვ.მ მიწის ფართობზე უცხო პირთა გადაადგილების შეზღუდვის მიზნით, უსაფრთხოების თანამშრომელთათვის ჯიხურის განთავსებასთან დაკავშირებით, დამატებით გაცნობებთ, რომ შემოსავლების სამსახური არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ მითითებულ ტერიტორიაზე ჯიხურის განთავსება.

პატივისცემით,

გიორგი გომარელი

დეპარტამენტის უფროსი

ფინანსური დეპარტამენტი

ლასარე LASARE

N 5
11.01.2019წ.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი დუგლაძეს

ბატონო გიორგი,

მოგეხსენებათ, 2018 წლის 23 ოქტომბერს ჩვენ მოგმართეთ წერილით (თქვენთან რეგისტრირებული N:110239/ფ), რომლის მიხედვითაც ვითხოვდით ჩვენს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (01.19.30.001.082) არსებული სერვიტუტის მიწაზე შენობა-ნაგებობის განთავსების შესაძლებლობის შეთანხმებას. ამავე წლის 17 დეკემბერს ჩვენ თქვენგან მივიღეთ საპასუხო წერილი N5/69071 იხ.დანართი -2 გვ), რომლის მიხედვითაც თქვენ დაგვიდასტურეთ მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობა წარმოდგენილი ნახაზებისა და ფოტომასალის მიხედვით. სამწუხაროდ, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურმა აღნიშნული წერილი საკმარისად არ მიიჩნია და განაცხადი დაგვიხარვეზა. არქიტექტურის სამსახურის შუალედური გადაწყვეტილებას ვურთავთ კორესპონდენციას (სულ 2 გვ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ მოგვცეთ ზოგადი შინაარსის თანხმობა ჩვენს მიერ 2018 წლის 23 ოქტომბერს წერილში მოყვანილი პირობების მიხედვით ან დაგვიდასტუროთ მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობა არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი განაცხადის ნომრის (#AR1652009) მითითებით.

ამასთან, წინამდებარე წერილთან დაკავშირებით, საკითხის დეტალურად აღწერის მიზნით, ჩვენ გამოვთქვამთ მზაობას შეხვედრაზე თქვენთვის ნებისმიერ მოსახერხებელ დროს.

პატივისცემით,

სერგო ლასარეიშვილი
დირექტორი

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თბილისის მომსახურების ცენტრი
ჩ ა ვ ი ბ ა რ ე
"14" 01 2019 წ

შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 0158, თბილისი, საქართველო
სატვირთო ტერმინალი

Shota Rustaveli Tbilisi International Airport, 0158, Tbilisi, Georgia
CARGO TERMINAL

+995 32 245 03 30
+995 32 294 81 41
office@lasare.ge

IATA
GLOBALLY Connected
WWW.LASARE.GE

KA021708828624618

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/69071

17 / დეკემბერი / 2018 წ.

შპს „ლასარე“-ს

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 22.10.2018წ. N223 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ სსიპ-შემოსავლების სამსახურის 10.12.2018წ. N21-02/148278 წერილით წარმოდგენილი პირობების გათვალისწინებით სააგენტო არ არის წინააღმდეგი ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლებაში (ნაკვეთი 01/082) შპს „ლასარე“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.19.30.001.082) სსიპ-შემოსავლების სამსახურის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ N01.19.30.001.083) სასარგებლოდ სერვიტუტის უფლებით დატვირთულ 1888 კვ.მ მიწის ნაკვეთზე უცხო პირთა გადაადგილების შეზღუდვის მიზნით, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთათვის წარმოდგენილი პროექტის მიხედვით განთავსდეს ჯიხური უსაფრთხოების ნორმებისა და სსიპ-შემოსავლების სამსახურის 10.12.2018წ. N21-02/148278 წერილში ასახული პირობების სრული დაცვით, აგრეთვე არ უნდა იქნას დარღვეული შპს „ლასარე“-ს მიერ 2016 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული უსასყიდლო სერვიტუტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლებაში (ნაკვეთი 01/082) შპს „ლასარე“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.19.30.001.082) სსიპ-შემოსავლების სამსახურის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ N01.19.30.001.083) სასარგებლოდ სერვიტუტის უფლებით დატვირთულ 1888 კვ.მ მიწის ნაკვეთზე უსაფრთხოების თანამშრომელთა ჯიხურის განთავსების შედეგად სახელმწიფოს არ უნდა წარმოეშვას რაიმე სახის ვალდებულება, არ უნდა მიადგეს რაიმე სახის ზიანი.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

გიორგი დუგლაძე

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო · მომსახურების ცენტრი · TBILISI SERVICE CENTER · LEPL "NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY"

შემოსავლების სამსახური

თბილისი 0114, გორგასლის ქ. 16
ტელ: +995 (32) 226 11 42, +995 (32) 226 11 16
ელ. ფოსტა: info@rs.ge
ვებ საიტი: www.rs.ge

148278-21-02-2-201812101011

https://edoc.mof.ge/public/#/

N 21-02/148278

10/12/2018

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
კერძო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს მ/შ-ს
ქალბატონ ნინო ჭოლიკიშვილს

ქალბატონო ნინო,

თქვენი, მიმდინარე წლის 29 ოქტომბრის N5/60094 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ-შემოსავლების სამსახური არ არის წინააღმდეგი შპს ,,ლასარე"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი: 01.19.30.001.082) და სსიპ-შემოსავლების სამსახურის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (საკ.კოდი:01.19.30.001.083) სასარგებლოდ სერვიტუტის უფლებით დატვირთულ 1888 კვ.მ მიწის ნაკვეთზე უცხო პირთა გადაადგილების შეზღუდვის მიზნით, უსაფრთხოების თანამშრომელთათვის ჯიხურის განთავსებაზე იმ პირობის დაცვით, თუ იგი ხელს არ შეუშლის კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო პროცედურების განხორციელების მიმდინარეობას.

პატივისცემით,

გომარელი გიორგი

დეპარტამენტის უფროსი

ფინანსური დეპარტამენტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 4333298

გაცემის თარიღი: 10/01/2019 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1652009
შემოსვლის თარიღი: 24/12/2018
შედეგი: **შუალედური**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.19.30.001.082
- მისამართი: ქალაქი თბილისი , აეროპორტი , (ნაკვეთი 01/082)
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 32794.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ლასარე" (208145176)

ნომენკლატურა :

- **I კლასი**
- **60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- გიორგი კაკაშვილი პ/ნ 01034003560
- მისამართი: თბილისი ო.ჩეჩელაშვილის ქ. N 109

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

-მოსარგებლესთან დაკავშირებით საჭიროა განმარტების გაკეთება, თუ ეხებით სარგებლობით გაცემულ ფართს საჭიროა მისი თანხმობის წარმოდგენა ასევე შესაძლებელია განახლდეს ამონაწერი და სარგებლობა აღარ ფიქსირდებოდეს ვინაიდან ვადაგასულია. არ არის მისაღები შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 10 დეკემბრის #21-02/148278 წერილი ვინაიდან, აღნიშნული წერილის შინაარსიდან გამომდინარე შემოსავლების სამსახურმა თანხმობა განაცხადა ჯიხურის განთავსებაზე იმ პირობის დაცვით თუ იგი ხელს არ შეუშლის კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო პროცედურების განხორციელების მიმდინარეობას. ზემოაღნიშნული ჩანაწერიდან გამომდინარე დაუდგენელია შეუშლის თუ არა საბაჟო პროცედურების განხორციელებაში მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელი სამუშაოები ხელს, აქედან გამომდინარე საჭიროა განახლდეს თანხმობა და წარმოდგენილ იქნეს ან ზოგადი შინაარსის ან კონკრეტული განცხადების ნომრის მითითებით. წარმოდგენილი განმარტება ვერ იქნება გაზიარებული ვინაიდან შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 10 დეკემბრის #21-02/148278 წერილი თავისი შინაარსით პირობიანია.

-ფოტომონტაჟი ->ფოტომონტაჟის pdf ფაილი : საჭიროა წარმოადგინოთ საპროექტო შენობის განთავსების სქემა.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჭ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი